

ტრანსგენდერი ადამიანების უფლებრივი მდგომარეობისა და სახელმწიფო პოლიტიკის მიმოხილვა

კოალიცია თანასწორობისთვის უერთდება ტრანსგენდერ ადამიანთა ხსოვნის აღნიშვნის დღეს და მოუწოდებს სახელმწიფოს, ეფექტურად გამოიძიოს ტრანსგენდერ ადამიანთა წინააღმდეგ მიმართული ძალადობის შემთხვევები და დაგეგმოს ეფექტიანი გზები წინასწარგანწყობითა და სტიგმით განპირობებული დისკრიმინაციული და რეპრესიული პოლიტიკისა და გენდერის სამართლებრივი აღიარების არაჰუმანური პრაქტიკის აღმოფხვრისა და პრევენციის მიზნით.

2014 წლის 10 ნოემბერს ტრანსგენდერი ქალი - საბი ბერიანი სასტიკად იქნა მოკლული საკუთარ საცხოვრებელ სახლში, სასამართლომ კი არასათანადოდ დასაბუთებული გადაწყვეტილებით ბრალდებული პირი გაამართლა. სიმბოლურად, საქართველოში ყოველ 10 ნოემბერს ლგბტ თემი და მისი მხარდამჭერები საბი ბერიანის ხსოვნას პატივს აგებენ და აგრეთვე იხსენიებენ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის სხვა მსხვერპლებს საქართველოში.

მსოფლიოში ყოველწლიურად ტრანსფობიურ დანაშაულს ათეულობით ადამიანის სიცოცხლე ეწირება, მხოლოდ 2016 წელს გენდერული იდენტობის ნიშნით ჩადენილ მკვლელობათა რიცხვი 90-ს აღწევს.¹ საქართველოში ტრანსგენდერ ადამიანთა წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები ხილვადი 2014 წლიდან გახდა, თუმცა მსგავს დანაშაულებთან დაკავშირებით სახელმწიფოს პოლიტიკა ეფექტიანი არ არის, რაც კიდევ უფრო აძლიერებს დაუსჯელობის სინდრომს და აღრმავებს შეუწყნარებლობას აღნიშნული ჯგუფის მიმართ.

გენდერის სამართლებრივი აღიარების რეპრესიული და არაჰუმანური ადმინისტრაციული პრაქტიკა საქართველოში

ტრანსგენდერ ადამიანთა მდგომარეობა საქართველოში მძიმეა და ისინი განგრძობით დისკრიმინაციასა და მარგინალიზაციას განიცდიან საზოგადოებისა და საჯარო თუ კერძო სერვისის მიმწოდებელი ინსტიტუციების მხრიდან, რაც მათ გარიყულობას კიდევ უფრო აღრმავებს და სოციალური მოწყვლადობასა და პოლიტიკური იზოლაციას იწვევს.

სოციალური მოწყვლადობის განმაპირობებელი ძირითადი ფაქტორი ტრანსგენდერი ადამიანებისთვის გენდერის სამართლებრივი აღიარების გართულებული და რეპრესიული პოლიტიკაა. სახალხო დამცველის², საერთაშორისო³ და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციების მიუხედავად, სახელმწიფო არ უზრუნველყოფს ტრანსგენდერი ადამიანებისთვის გენდერის აღიარების ეფექტურ და ხელმისაწვდომ პროცედურას, რომელიც უზრუნველყოფდა მათი სასურველი გენდერის პირად საიდენტიფიკაციო დოკუმენტებში სათანადო ასახვას. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობა ექსპლიციტიურად არ არეგულირებს პირად საიდენტიფიკაციო დოკუმენტებში სქესის შეცვლის საკითხს, ჩამოყალიბებული ადმინისტრაციული და ასევე, სასამართლო პრაქტიკა ტრანსგენდერი ადამიანებისთვის პირად დოკუმენტებში სქესის შეცვლის წინაპირობად ქირურგიულ ოპერაციას, მათ შორის, სტერილიზაციას განიხილავს. გენდერის სამართლებრივი აღიარებისა და სამედიცინო ტრანზიციის პროცესის ერთმანეთზე მიბმა და ტრანსგენდერ ადამიანთა ფართო სპექტრის იგნორირების გამო, ადამიანებს უწევთ არჩევანის გაკეთება არასასურველ და საჭიროებას მოკლებულ სამედიცინო ჩარევებსა და გენდერის სამართლებრივ აღიარებას შორის.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფარგლებში არ ანაზღაურებს სქესის შეცვლისთვის საჭირო ძვირდღირებულ ქირურგიულ ოპერაციებს, რაც ისედაც მძიმე ეკონომიკურ

¹ იხ: <https://tdor.info/>

² იხ: <http://batumelebi.netgazeti.ge/weekly1/12742/#sthash.VbKaKsyf.dpbs>

³ Recommendation CM/Rec(2010)5 of the Committee of Ministers to member states on measures to combat discrimination on grounds of sexual orientation or gender identity, თავი IV; ასევე, Parliamentary Assembly of Council of Europe, Resolution 2048 (2015) "Discrimination against transgender people in Europe,"

პირობებში მცხოვრებ ჯგუფს თვითგანვითარების შესაძლებლობას ართმევს. ამასთან, ტრანსგენდერ, ტრანსექსუალ და გენდერულად არაკონფორმულ ადამიანებს ხელი არ მიუწვდებათ საჭიროებებზე ორიენტირებულ ხარისხიან ჯანდაცვაზე, რადგანაც არ არსებობს ეროვნული კლინიკური გაიდლაინები, რომლებიც უზრუნველყოფდა გაწეული სამედიცინო მომსახურების კონტროლს სახელმწიფოს მხრიდან. არსებული პოლიტიკა ტრანსგენდერი პირების მიმართ რეპრესიულ, არაჰუმანურ და დისკრიმინაციულ სოციალურ და სამართლებრივ გარემოს ქმნის და არსებითად არღვევს საქართველოს კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით აღიარებული წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის აკრძალვისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას.⁴ ამასთან აღნიშნული პოლიტიკა შეუძლებელს ხდის სხვა მომიჯნავე უფლებებით, მათ შორის, განათლებაზე ხელმისაწვდომობის, შრომითი უფლებების, უსაფრთხო გარემოზე უფლებით სათანადო სარგებლობის შესაძლებლობას და ტრანსგენდერი ადამიანების სოციალურ მოწყვლადობას და იზოლაციას იწვევს.

ტრანსფობიურ დანაშაულთა ძალადობრივი პრაქტიკა

სხვადასხვა კვლევები⁵ აჩვენებს, რომ ტრანსგენდერ ადამიანთა უმრავლესობა სისტემატურად არის ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი,⁶ რომლის წყაროს წარმოადგენენ როგორც უცხო ადამიანები, ისე ტრანსგენდერი ადამიანების ოჯახის წევრები და მეგობრები. ძალადობა განსაკუთრებით მწვავე ფორმას იძენს იმ შემთხვევაში, როდესაც ტრანსგენდერი ადამიანები საზოგადოებაში იმ გარეგნობით თუ სოციალური როლით ჩნდებიან, რომელიც მათ ბიოლოგიურ სქესს არ შეესაბამება.⁷ ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის (WISG) მონაცემებით, საქართველოში 2016 წლის განმავლობაში ტრანსგენდერ და გენდერულად არაკონფორმულ ადამიანებზე თავდასხმის ოცამდე შემთხვევა იქნა დოკუმენტირებული.⁸

ტრანსგენდერ ადამიანთა მიმართ ძალადობრივი გამოცდილების სისტემურობის მიუხედავად, სახელმწიფოს არ გააჩნია ჰომო/ბი/ტრანსფობიურ დანაშაულებთან ბრძოლის ერთიანი პოლიტიკა. სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების პოლიტიკური ბუნების გათვალისწინებით, რომელიც ჯგუფების მშვიდობიანი თანაარსებობის, პლურალიზმისა და თანასწორობის იდეაზე დაფუძნებული პოლიტიკური წესრიგის იდეას არღვევს, სახელმწიფო აღნიშნულ დანაშაულებს კომპლექსურად არ იაზრებს და არც კვლევაზე დაფუძნებული, ეფექტიანი პრევენციული პოლიტიკა აქვს. ამ დრომდე, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურას არ გააჩნია სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების დეტალური სტატისტიკა, რომელიც მათ შორის, ჰომო/ბი/ტრანსფობიური მოტივით განხორციელებულ ქმედებების მასშტაბსა და ტიპოლოგიას სრულყოფილად ასახავდა. 2014 წლის 23 დეკემბერს ამოქმედდა შინაგან საქმეთა მინისტრის N47 მითითება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფების მიერ დისკრიმინაციის პრევენციისა და ამ ნიშნით ჩადენილ სამართალდარღვევებზე ეფექტიანი რეაგირების ღონისძიებების განხორციელების შესახებ“, რომელმაც სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის 3¹ ნაწილის საფუძველზე, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების სტატისტიკის წარმოების წესი დაადგინა და სამინისტროში ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკის გატარებისკენ მიმართული ზოგადი ღონისძიებები განსაზღვრა. თუმცა, აღნიშნული დოკუმენტით გათვალისწინებული წესები, მათ შორის, სტატისტიკის წარმოების წესის შესახებ პრაქტიკაში არ გამოიყენება.⁹ შინაგან საქმეთა სამინისტროს განმარტებით, სისხლის სამართლის

⁴ იხილეთ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე Y.Y. v. Turkey, 2015

⁵ „ტრანსგენდერ ადამიანთა საჭიროებები ჯანდაცვის სფეროში“, WISG, 2015; „გბტკი პირთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში“, EMC, 2016; „დისკრიმინაცია და სიძულვილით მოტივირებული დანაშაული ლგბტ პირთა მიმართ“, WISG, 2015

⁶ ე. ადდგომელაშვილი, „წინასწარგანწყობიდან თანასწორობამდე“, WISG, , 2016, გვ.19.

⁷ იქვე

⁸ <http://netgazeti.ge/news/149865/>

⁹ „ლგბტ პირთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში“, EMC, 2016, გვ. 23, <https://emc.org.ge/2016/06/03/emc-77/>

კოდექსის 53-ე მუხლის 3¹ ნაწილის ადრესატი სასამართლო ხელისუფლებაა და ის მხოლოდ სასჯელის დანიშვნის პროცესში შეიძლება იქნეს გამოყენებული გამოიყენება, რის გამოც სამინისტრო უარს აცხადებს აღნიშნული მუხლის სტატისტიკის წარმოების მიზნებისთვის გამოყენებაზე.

დადებითად უნდა შეფასდეს, საქართველოს პროკურატურის მიერ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან ბრძოლის სპეციალური სახელმძღვანელო დოკუმენტის მომზადება და აღნიშნულ დანაშაულთა აღსარიცხად გარკვეული მეთოდის შემუშავება, თუმცა აღნიშნული დოკუმენტი დახურულია სამოქალაქო საზოგადოებისათვის, რაც მისი ეფექტურობისა და სენსიტიურობის ხარისხის შეფასებას შეუძლებელს ხდის.

სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან ეფექტიანად ბრძოლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს სამართალდამცავი უწყებების სისტემის შიგნით სპეციალიზებული დანაშაულების შექმნა. რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპულმა კომისიამ (ECRI) საქართველოს მისცა რეკომენდაცია, შექმნას სპეციალიზებული უწყება შინაგან საქმეთა სამინისტროს ფარგლებში.¹⁰ მსგავსი რეკომენდაცია მიიღო საქართველოს მთავრობამ გაეროს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის (UPR) ფარგლებშიც.¹¹ თუმცა, როგორც საქართველოს მთავრობამ დათქმის სახით განაცხადა, უწყების გადატვირთულობისა და სრული მასშტაბით ტერიტორიული დაფარვის ინტერესის გამო, ცენტრალიზებული სპეციალიზებული პოლიციის უწყების შექმნა მისთვის ვერ იქნება სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე რეაგირების ქმედითი მექანიზმი. ამიტომ მთავრობამ აიღო ვალდებულება, უზრუნველყოს სპეციალიზებული პოლიციელების ტრენინგი პოლიციის ყველა რეგიონულ დეპარტამენტში.¹² ცხადია, სახელმწიფოთა სტრატეგია სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან მიმართებაში ინდივიდუალურია და ქვეყნებს პოლიციისა და პროკურატურის ინსტიტუციური მოწყობის განსხვავებული მოდელები აქვთ, თუმცა, სახელმწიფოების საუკეთესო პრაქტიკის ანალიზი აჩვენებს, რომ დისკრიმინაციულ დანაშაულთან ბრძოლის სისტემური პოლიტიკის გატარებისა და მსხვერპლის ხელახალი ტრამვირების თავიდან აცილების მიზნით სპეციალიზებული პოლიციის დანაშაულების არსებობა ყველაზე ეფექტიანი ინსტრუმენტია. რამდენად რეალისტური და ეფექტიანი აღმოჩნდება საქართველოს მთავრობის მიდგომა, ამის შეფასება ახალი რეჟიმის პირობებში, სამინისტროს მუშაობის გამოცდილების დაგროვების შემდეგ გახდება შესაძლებელი. თუმცა, განსახილველ მოდელში არსებითაა პოლიციელთა საქმიანობის მონიტორინგის სათანადო კრიტერიუმების შემუშავება და დამოუკიდებელი და გამჭვირვალე შიდა მონიტორინგის მექანიზმების საქმიანობის გაძლიერება.

ამასთანავე, კვლავ პრობლემად რჩება სასამართალდამცავ სტრუქტურებში მოტივის იდენტიფიკაციისა და მტკიცებულებად მისი საქმეზე დამაგრების საკითხი, არც პოლიციის მუშაკებს და არც პროკურატურას არ აქვთ საკმარისი ცოდნა და უნარები დროულად მოახდინონ შესაძლო შეუწყნარებლობის მოტივზე მიმანიშნებელი ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილი ანალიზი და შესაბამისი ზომები მიიყონ მის უკეთ გამოსაკვეთად.

სამართალდამცავი ორგანოების ინსტიტუციური მოწყობისა და სენსიტიურობის მიღმა, ქვეყანაში არსებით პრობლემას ჰომო/ბი/ტრანზობიურ დანაშაულებზე გამოძიების არაეფექტიანობა წარმოადგენს. ლგბტ თემის წინააღმდეგ ჩადენილი არც ერთი განხილული საქმის (2012 და 2013 წლებში 17 მაისს ლგბტ აქტივისტების ძალადობრივი დარბევის შემთხვევები, ს.ბ.-ს სიცოცხლის ხელყოფისა და ტრანსგენდერი ქალის სასტიკად ცემის საქმეები) გამოძიება არ აკმაყოფილებდა

¹⁰ რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის მოხსენება საქართველოზე, 2015, ხელმისაწვდომია: <https://www.coe.int/t/dghl/monitoring/ecri/Country-by-country/Georgia/GEO-CbC-V-2016-002-ENG.pdf>

¹¹ უნივერსალური პერიოდი მიმოხილვის (UPR) მეორე ციკლის ფარგლებში წევრი სახელმწიფოების მიერ საქართველოსთვის გაცემული რეკომენდაციები, ხელმისაწვდომია: <https://documents-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/G16/005/04/PDF/G1600504.pdf?OpenElement>

¹² A/HRC/31/15/Add.1, პუნქტი 118.10;

ეფექტიანი გამოძიების სტანდარტებს.¹³ საგამომიებო ორგანოები ისევე როგორც სასამართლო, არ ახდენს შესაძლო სიძულვილის მოტივის იდენტიფიცირებას და მსგავსი რეაგირების პრევენციული მნიშვნელობის გააზრებას, რაც არსებითად ახალისებს დისკრიმინაციულ და ძალადობრივ გარემოს ლგბტ თემის მიმართ.

მეტიც, ტრანსგენდერი პირები ხშირად უშუალოდ პოლიციის თანამშრომლების მხრიდან აწყდებიან რეპრესიული და დისკრიმინაციული მოპყრობისა და სიძულვილის ენის გამოყენების პრობლემას, რაც დაბალი საპოლიციო კულტურის შედეგია, რომელიც იზიარებს საზოგადოებაში გავრცელებულ წინასწარგანწყობებსა და სოციალური ჯგუფების იერარქიუზაზე დაფუძნებულ წარმოდგენებს. ამგვარი პოლიტიკა თემის ნდობას სამართალდამცავი ორგანოების მიმართ ამცირებს და მათ ძალადობის წინაშე დაუცველებს ტოვებს.

ტრანსგენდერი ადამიანების მიმართ განხორციელებული ძალადობისა და საზოგადოებისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის არაეფექტურობისა და გულრილობის ნათელი გამოვლინება იყო 2014 წლის 11 ნოემბერს მოკლული ტრანსგენდერი ქალის ს.ბ.-ს საქმე, რომელზეც თბილისის საქალაქო სასამართლომ 2015 წლის 7 აგვისტოს გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა. აღნიშნულ საქმეში დაზარალებულს დანით მრავლობითი ჭრილობები ჰქონდა მიყენებული, მის ბინას კი ბრალდებულმა ცეცხლი წაუკიდა. გამოძიების ეტაპზე ბრალდებულის მიერ მიცემული განმარტებით, მასსა და დაზარალებულს შორის დაპირისპირება არსებულ ვალს უკავშირდებოდა, რის გამოც ბრალდებულმა ს.ბ.-ს სახლში მიაკითხა, შემდეგ კი მას დაზარალებული თავს დაესხა და მან ს.ბ.-ს დაზიანებები აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში მიაყენა.¹⁴ მოსამართლემ ბრალდებულის ეს ვერსია სრულად გაიზიარა და მისი ქმედება აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში ჩადენილად მიიჩნია. სასამართლომ საქმეში სათანადოდ არ შეისწავლა ქმედების მიზეზ-შედეგობრივი კავშირი და ყველას ის მტკიცებულება, რომელიც აუცილებელი მოგერიების ფარგლების აშკარა გადაცილებაზე მიუთითებდა. მკვლელობის განზრახვის შეფასების დროს სასამართლომ არ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ დანაშაულის ჩადენამდე რამდენიმე საათით ადრე ბრალდებულმა პირმა სხვა ტრანსგენდერი ქალის, ბ.შ.-ს მიმართ ასევე განახორციელა წინაწარ ორგანიზებული თავდასხმა და მას დაზიანებები მიაყენა მკერდის არეში.¹⁵ სასამართლომ განაჩენში ს.ბ.სა და ბ.შ. მიმართ თავდასხმის ინციდენტები ცალ-ცალკე განიხილა და არც კი შეეცადა მათ შორის ფაქტობრივი და სამართლებრივი კავშირის დადგენას.¹⁶ აღნიშნულ საქმეზე ს.ბ.-ს მიმართ გამოყენებული განსაკუთრებული სისასტიკის და რამდენიმე ტრანსგენდერ პირზე თავდასხმის ფაქტის მიუხედავად, საგამომიებო ორგანოებს გაუჭირდათ სავარაუდო ტრანსფობიური მოტივის იდენტიფიცირება და ის ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის წარსულში პირადი ურთიერთობების ფაქტით გააბათილა. ცხადია, ეს გარემოება არ შეიძლება გამორიცხავდეს შესაძლო სიძულვილის მოტივს და მათ შორის, არსებითი იყო ბრალდებული პირის მიმართ ფსიქოლოგიური ექსპერტიზის ჩატარება, რაც არ განხორციელებულა. ტრანსგენდერი პირის მიმართ გამოყენებული ძალადობის განსაკუთრებული სისასტიკე თავის მხრივ აჩენდა ეჭვებს ბრალდებულის მიერ დაზარალებულის ნაკლებად ღირებულ/მეორეხარისხოვან სუბიექტად აღქმის თაობაზე.

სიძულვილის მოტივის გამოვლენის პრობლემა ასევე კარგად გამოჩნდა 2016 წელს 14 ოქტომბერს თბილისში მომხდარი ტრანსგენდერი ქალის სასტიკი ცემის ფაქტზე. ბრალდებულმა პირმა

¹³ ევროპული კომისია რაისზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ (ECRI), ანგარიში საქართველოს შესახებ, 2016 წელი, პარა. 58

¹⁴ „დისკრიმინაცია და სიძულვილით მოტივირებული დანაშაული ლგბტ პირთა მიმართ“, WISG, 2015, გვ.25.

¹⁵ „ლგბტი პირთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში“, EMC, 2016, გვ. 25,

<https://emc.org.ge/2016/06/03/emc-77/>

¹⁶ იხ: <https://emc.org.ge/2014/11/13/emc-%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%98%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A1-%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%98/>

ტრანსგენდერ ქალს ცივი იარაღით ყელის არეში მრავლობითი ჭრილობები მიაყენა¹⁷, რის გამოც დაზარალებულის სიცოცხლე დღემდე საფრთხეშია და ის ამ დრომდე რეანიმაციაში უმძიმეს პირობებში იმყოფება. აღნიშნულ საქმეზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით გათვალისწინებული განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის ბრალდებული ერთ-ერთი პირი დააკავა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.¹⁸ მიუხედავად იმისა, რომ გამოყენებული ძალადობის სისასტიკე, ბრალდებულისა და დაზარალებულის იდენტობებს შორის განსხვავება შეუწყნარებლობის მოტივის თაობაზე ეჭვის გაჩენის წინაპირობას ქმნიდა, გამოძიებამ ეს ეჭვი ასევე ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის წარსულში ნაცნობობის არგუმენტით გააბათილა.¹⁹

ზემოთ განხილულ ორივე საქმეში ჩანს სიძულვილის მოტივის იდენტფიციერების დროს საგამოძიებო ორგანოების ზედპირული მიდგომის და სათანადო ცოდნის დეფიციტის პრობლემა. თუმცა, ცოდნის პრობლემასთან ერთად, მსგავს საქმეებზე მართლმსაჯულების სისტემის გულგრილობა არსებითად სწორედ პოლიტიკური ნების არ არსებობაზე უნდა უთითებდეს.

ტრანსგენდერ სექსმუშაკთა მიმართ ძალადობრივი საპოლიციო პოლიტიკა

ტრანსგენდერ ადამიანთა ჩაგვრის წინააღმდეგ სახელმწიფოს დისკრიმინაციული და იგნორირების პოლიტიკის შედეგად, ტრანსგენდერ ქალთა ნაწილისთვის თვითგადარჩენის ერთადერთ წყაროდ სექს სამუშაო იქცა, რომელიც ძალადობას მათი ყოველდღიურობის ნაწილად აქცევს. ამ პირობებში ისინი ერთის მხრივ, გენდერული იდენტობისა და მეორეს მხრივ, მათი საქმიანობის გამო ორმაგ ჩაგვრას ექვემდებარებიან და მათი სიცოცხლე ჯანმრთელობა და ფსიქიკური მთლიანობა საფრთხის ქვეშ დგას.

საქართველოს სახალხო დამცველის 2014 წლის საპარლამენტო ანგარიშში ხაზგასმულია ტრანსგენდერი სექს-მუშაკების მიმღე უფლებრივი მდგომარეობის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ ახდენს პროსტიტუციის კრიმინალიზებას, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172³-ე მუხლი პროსტიტუციას ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას უქვემდებარებს და მიუთითებს, რომ მისი განხორციელება გამოიწვევს ჯარიმას ან ადმინისტრაციულ პატიმრობას, 15 დღის ვადით. ჯარიმად განსაზღვრულია შრომის ანაზღაურების ნახევარი მინიმალური ოდენობა, რაც საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების მიხედვით 20 ლარს შეადგენს.

დამკვიდრებული პრაქტიკის ანალიზი აჩვენებს, რომ პოლიცია ხშირად მიმართავს სპეციალურ საპოლიციო ღონისძიებებს, რომლის დროსაც ტრანსგენდერ სექსმუშაკებს ადგილის დატოვებას აიძულებს და აღნიშნულის საფუძვლად პროსტიტუციისა და სხვა შესაძლო სამართალდარღვევების პრევენციას ასახელებს. საპოლიციო ღონისძიების დროს პოლიციის თანამშრომლები ხშირად თვითნებურად იყენებენ რეპრესიულ ღონისძიებებს და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ისეთ ზომებს, როგორცაა ჯარიმა ან ადმინისტრაციული პატიმრობა.²⁰

სახალხო დამცველის 2014 წლის საპარლამენტო ანგარიშის თანახმად ტრანსგენდერი სექსმუშაკები ხშირად მიმართავენ სახალხო დამცველს პოლიციური კონტროლის დროს პოლიციის თანამშრომლების მხრიდან შესაძლო ზეწოლის ფაქტებსა და ჰომო/ტრანსფობიურიფობიურ დამოკიდებულებას. ფაქტები, რაც ტრანსგენდერი სექს მუშაკი ქალებისთვის მართლმსაჯულებას პრაქტიკულად ხელმიუწვდომელს ხდის - ძალადობის შემთხვევებში ისინი უმეტესწილად არ მიმართავენ სამართალდამცავ ორგანოებს სტიგმისა და პოლიციის დისკრიმინაციული მოპყრობის გამო.

¹⁷ იხ: <http://liberali.ge/news/view/25335/shss--transgenderi-qalis-dachrashi-braldebuli-danashauls-aghiarebs>

¹⁸ იხ: <http://netgazeti.ge/news/149865/>

¹⁹ იხ: <http://netgazeti.ge/news/148811/>

²⁰ საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში, 2014 წელი, გვ. 531

პოლიციის მიერ პრევენციული ღონისძიებების გატარების უფლების მიუხედავად მნიშვნელოვანია, რომ ასეთი ქმედებების დროს მიზანი ბუნდოვანი არ იყოს და სექსმუშაკებს ეცნობოთ ამის შესახებ. სახალხო დამცველის რეკომენდაციის თანახმად ასევე, მაქსიმალურად უნდა იქნას აღმოფხვრილი სექსმუშაკების შეურაცხყოფისა თუ მათ მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტები; ტრანსგენდერი სექსმუშაკების შემთხვევაში კი აღკვეთილი უნდა იყოს ჰომოფობიური გამოვლინებები.²¹

მნიშვნელოვანია, რომ EMC-ის მიერ გამოკითხული რესპონდენტების ინფორმაციით, გამოიკვეთა მესამე პირების (კლიენტების, გამვლელების) მხრიდან ძალადობის პრაქტიკა. მიუხედავად იმისა, რომ ასეთ შემთხვევაში ისინი დახმარებისთვის პატრულს მიმართავენ, მათი თქმით, რეაგირება არაეფექტანია. რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა გამოვლენილი ძალადობის აღკვეთაში სამართალდამცავების როლს უპირობოდ ნეგატიურად ახასიათებს. მათი თქმით, **ადგილზე გამოცხადებული პოლიცია ინციდენტის ორივე მხარეს მიიჩნევს კანონთან კონფლიქტში მყოფად და ორივე მხარის მიმართ იყენებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის კოდექსით გათვალისწინებულ სანქციებს, რაც დისკრიმინაციული მიდგომა და ტრანსგენდერ ქალებს მათზე განხორციელებული ძალადობის შემთხვევაში პოლიციისადმი მიმართვის ინტერესსა და ნდობას უსპობს.** ტრანსგენდერი სექსმუშაკების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ მსგავს ინციდენტებზე დაწყებული გამოძიება როგორც წესი ეფექტიანი არ არის²² და მათთვის არ ხდება დაზარალებულის სტატუსის მინიჭება რაც მიუთითებს, სამართალდამცავების დისკრიმინაციულ მიდგომაზე ტრანსგენდერი სექსმუშაკების მიმართ.²³ მეტიც, ტრანსგენდერი ქალი სექსმუშაკების მიმართ საპოლიციო ღონისძიებების განხორციელების დროს ასევე ფიქსირდება, პოლიციის მხრიდან შესაძლო ზეწოლისა და ჰომო/ტრანსფობიური დამოკიდებულებების ფაქტები, რაც ტრანსგენდერი სექს მუშაკი ქალებისთვის მართლმსაჯულებას პრაქტიკულად ხელმიუწვდომელს ხდის - ძალადობის შემთხვევებში ისინი უმეტესწილად არ მიმართავენ სამართალდამცავ ორგანოებს სტიგმისა და პოლიციის დისკრიმინაციული მოპყრობის გამო.

შეჯამება

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით ჩანს, რომ ტრანსგენდერი თემი ერთ-ერთი ყველაზე მეტად მარგინალიზებული და დისკრიმინირებული ჯგუფია საზოგადოებაში. მათ მიმართ გამოვლენილ ძალადობას სტრუქტურული ხასიათი აქვს და სახელმწიფოს რეპრესიული, არაჰუმანური და დისკრიმინაციული პოლიტიკა ამ რეალობას ახალისებს. გენდერის სამართლებრივი აღიარების ღირსების შემლახავი ადმინისტრაციული პრაქტიკა ის საკითხია, რომელიც ტრანსგენდერ თემს პერსონალური და სოციალური განვითარების შესაძლებლობას ართმევს. ტრანსფობიურ ძალადობასთან ბრძოლის სისტემური და არაეფექტიანი სახელმწიფო პოლიტიკა თემს სიცოცხლის უსაფრთხოების მინიმალურ გარანტიებს უსპობს და სისტემური ძალადობის წინაშე მარტოს ტოვებს. სამწუხაროდ, საპოლიციო პოლიტიკა კიდევ უფრო რეპრესიული და დამაკნინებელია სექსმუშაკი ტრანსგენდერი პირების მიმართ, რომლებისთვისაც ეს საქმიანობა გადარჩენისა და ფიზიკური არსებობის ერთადერთ გამოსავლად რჩება.

აღნიშნული შეფასებების გათვალისწინებით, კოალიცია თანასწორობისთვის მოუწოდებს საქართველოს მთავრობას:

იუსტიციის სამინისტროს

²¹ საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში, 2014, გვ. 531

²² ²² შენიშვნა: იმის გამო, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი არ მოიცავს დისკრიმინაციული მოტივის გამო ბრალის დამამძიმებელ გარემოებებს, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ტრანსგენდერი ქალების მიმართ ჩადენილი ტრანსფობიური და ჰომოფობიური სამართალდარღვევები, სათანადო რეაგირების გარეშე რჩება.

²³ „ლგბტი პირთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში“, EMC, 2016, გვ. 23, <https://emc.org.ge/2016/06/03/emc-77/>

აღმოფხვრას გენდერის სამართლებრივი აღიარების არსებული რეპრესიული ადმინისტრაციული პრაქტიკა და ის ჰუმანურ და არამადისკრიმინირებლ მიდგომებს დააფუძნოს. კერძოდ, პირად საიდენტიფიკაციო დოკუმენტებში სქესის შესახებ ჩანაწერის ცვლილების სწრაფი, გამჭვირვალე და ადვილად ხელმისაწვდომი პროცედურის შექმნით, გააუქმოს ნებისმიერი წინაპირობა, რომელიც ტრანსგენდერ ადამიანს მისი ნათლად გამოვლენილი ნების გარეშე აიძულებს ქირურგიული ოპერაციის, მათ შორის, სტერილიზაციის გზით, მისი ბიოლოგიური სქესი საკუთარ გენდერულ იდენტობასთან შესაბამისობაში მოიყვანოს.

შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურას

შემუშავონ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან ბრძოლის ეფექტიანი ერთიანი სტრატეგია, რომელიც, მათ შორის, გაითვალისწინებს პოლიციისა და პროკურორებისთვის დეტალური ოპერაციული სახელმძღვანელო დოკუმენტის მიღებას და უწყებების მიერ მისი აღსრულების მონიტორინგის ეფექტიანი მეთოდებისა და მექანიზმების ამუშავებას; დისკრიმინაციული დანაშაულების დეტალური სტატისტიკის წარმოებისა და ანალიზის მეთოდების დამკვიდრებას; უწყებების შიგნით სპეციალიზებული და სათანადო ცოდნითა და სენსიტიურობით აღჭურვილი დანაყოფების შექმნას; უფლების შეზღუდვის მსხვერპლებთან ნდობის გაძლიერებისა და ზიანის შემცირებაზე დაფუძნებული მიდგომის შემუშავებას;

შინაგან საქმეთა სამინისტროს

აღმოფხვრას სექსმუშაკი პირების მიმართ რეპრესიული და ჰომო/ტრანსფობიური პოლიტიკა და მისი საქმიანობა ადამიანის უფლებების სტანდარტების განუხრელი დაცვის მიდგომებს დააფუძნოს.